სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება – იანვარი-ივლისი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #55 / 11.09.2015

2015 წლის იანვარი-ივლისის პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი 58.0 %, ხოლო ხარჯების 56.3 %-ია, რაც აღმატება 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს (2.4 % პუნქტი, 2.6 % პუნქტი).

აღნიშნულ პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდ წყაროს კვლავ საგადასახადო შემოსავლები (93.5 %), ხოლო საგადასახადო შემოსავლების ყველაზე დიდ წყაროს (45.5%) - დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოადგენს.

2015 წლის იანვარ-ივლისში, ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში ყველაზე დიდი წილი (35.1 %) სოციალური უზრუნველყოფის კატეგორიაზე გაწეულ ხარჯებს აქვს.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2015 წლის იანვარ-ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები გაზრდილია 13.3 %-ით (542.5 მლნ. ლარით) და შეადგენს 4 613.3 მლნ. ლარს. აღნიშნულ პერიოდში ბიუჯეტის შემოსავლები წლიური გეგმის 58.0 %-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ წლის დარჩენილი ხუთი თვის (აგვისტო-დეკემბერი) განმავლობაში შესრულდება ბიუჯეტის გეგმის 42.0 %.

2015 წლის იანვარ-ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები გაზრდილია 11.6 %-ით (469.6 მლნ. ლარით) და 4517.0 მლნ. ლარს შეადგენს. აღნიშნული შვიდი თვის განმავლობაში ხარჯების შესრულება გაზრდილია 2.6 % პუნქტით 2014 წლის შესაბამის მაჩვებელთან შედარებით და წლიური გეგმის 56.3 %-ს უტოლდება.

ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ჯამური მოცულობა ბიუჯეტის ხარჯებს 2.1 %-ით (96.3 მლნ. ლარით) აღემატება.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2015 წლის იანვარ-ივლისში, საგადასახადო შემოსავლები 12.0 %-ით (461.9 მლნ. ლარით) აღემატება 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს და 4 312.3 მლნ. ლარს შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა წინა წლის მსგავსია: დღგ - 45.5 %, საშემოსავლო - 26.0 %, მოგება - 16.1 %, აქციზი - 11.2 % და იმპორტი - 1.0 %. აქედან, შემოსავლები გაზრდილია დღგ (6.6 %), საშემოსავლოს (15.1 %), მოგებისა (31.0 %) და აქციზის (10.5 %) გადასახადებიდან, ხოლო შემცირებულია იმპორტის გადასახადიდან (-28.3 %). ეს უკანასკნელი აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ პერიოდში შემცირებულია იმპორტის მოცულობა (-10.6 %).

აღნიშნულ პერიოდში, გადასახადების შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმასთან შედარებით შემდეგი სახისაა: დღგ - 55.9 %, საშემოსავლო - 57.5 %, მოგება - 73.0 %, აქციზი - 53.7 % და იმპორტი - 60.3%. მათ შორის, გაზრდილია მოგების (14.9 % პუნქტი), იმპორტისა (3.1 % პუნქტი) და საშემოსავლო გადასახადის (2.5 % პუნქტი) შესრულების მაჩვენებლები, ხოლო აქციზისა (-5.5 % პუნქტი) და დღგ-ს (-0.3 % პუნქტი) შემცირებულია.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2015 წლის იანვარი-ივლისის მდგომარეობით, გრანტების სახით მიღებული შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 2.9 %-ს (133.2 მლნ. ლარი) შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი 73.9 %-ით (56.6 მლნ. ლარით) აღემატება 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

ამ პერიოდში, გრანტების შესრულების მაჩვენებელი 52.0%-ია. ეს ნიშნავს, რომ თუ შესრულდა წლიური გეგმა, წლის დარჩენილ ხუთ თვეში (აგვისტო-დეკემბერი) კიდევ 122.7 მლნ. ლარის ექვივალენტი უცხოური ვალუტა შემოვა ქვეყანაში, რაც დადებითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობაზე.



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2015 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა არ შეცვლილა: სოციალური უზრუნველყოფა - 35.1 %, შრომის ანაზღაურება - 17.3 %, გრანტები - 14.7 %, სხვა ხარჯები - 14.4 %, საქონელი და მომსახურება - 11.1 %, პროცენტი - 4.2 % და სუბსიდიები - 3.1 %.

წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით, გაწეული ხარჯების მოცულობა გაზრდილია ყველა კატეგორიაზე. მათ შორის სოციალურ უზრუნველყოფაზე - 9.5 %-ით, შრომის ანაზღაურებაზე - 6.5 %-ით, გრანტებზე - 23.3 %-ით, სხვა ხარჯებზე - 14.7 %-ით, საქონელსა და მომსახურებაზე - 5.5 %-ით, პროცენტზე - 34.7 %-ით და სუბსიდიებზე - 0.1 %-ით.

აღნიშნულ პერიოდში, წლიურ გეგმასთან შედარებით ხარჯების შესრულება შემდეგი სახისაა: სოციალური უზრუნველყოფა - 59.0 %, შრომის ანაზღაურება - 56.7 %, გრანტები - 53.0 %, სხვა ხარჯები - 57.3 %, საქონელი და მომსახურება - 53.5 %, პროცენტი - 50.5 % და სუბსიდიები - 58.4 %. აქედან, გაზრდილია ყველა კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი გარდა საქონლისა და მომსახურებისა, რომელიც -2.4 % პუნქტით შემცირდა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014	IV 2014	2014	I 2015
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3*	4064.1*	4320.4*	4527.8*	16528.5*	3298.9*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9*	905.0*	962.1*	1 008,3*	3680.8*	884.5*
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%*	5.2%*	5.6%*	1.8%*	4.8%*	3.2%*
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	309.5	196.2	726.0	526.7	1 758.4	175.3*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*